საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №83/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 10 მაისის №83 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლეს საქმეზე არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ 2018 წლის 14 დეკემბერს ძალაში დატოვა 2018 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. -- -- განმარტა, რომ 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრით. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა განჩინების მისთვის ჩაბარება. მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გამოირკვა, რომ -- -- ვერ ჩაიბარებდა აღნიშნულ განჩინებას იმის გამო, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა მასზე ხელი მოწერილი. ამდენად, როდესაც მოსამართლე -- -- 2018 წლის 14 დეკემბერს აცხადებდა განჩინების სარეზოლუციო ნაწილს, მას ხელი ამ განჩინებაზე მოწერილი არ ჰქონდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 2 აპრილს -- -- საჩივრით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება (-- -- დაეკისრა --ამერიკული დოლარის გადახდა) და -- --, აპელანტის სასარგებლოდ -- ამერიკული დოლარის დაკისრება. 2018 წლის 7 მაისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- -- სააპელაციო საჩივარი, თანდართული დოკუმენტები და სასამართლო უწყება სასამართლო სხდომის გამართვის თარიღის მითითებით გაეგზავნა 2018 წლის 29 მაისს და 2018 წლის 2 ივლისს. პირველ შემთხვევაში მიმღების მამამ, -- -- უარი განაცხადა სასამართლო უწყების ჩაბარებაზე, ხოლო მეორედ, 2018 წლის 7 ივლისს, ჩაიბარა სასამართლო უწყება და შესაბამისი დოკუმენტები.

საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 12 ივლისს. აღნიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, -- -- და აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება (დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა მოპასუხისათვის -- ამერიკული დოლარის დაკისრების თაობაზე).

2018 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი 2018 წლის 6 აგვისტოს მოპასუხეს გაეგზავნა ფოსტით, თუმცა მოპასუხის მამამ უარი განაცხადა მის მიღებაზე. ამის შემდეგ, მოპასუხეს 2018 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი კიდევ ერთხელ გაეგზავნა 2018 წლის 20 სექტემბერს. ამჯერად, მითითებულ მისამართზე ადრესატი არ იმყოფებოდა. 2018 წლის 1 ოქტომბერს მოსამართლე -- -- მიიღო განჩინება მოპასუხისათვის სასამართლო განჩინების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურის მეშვეობით ჩაბარების დავალების თაობაზე. 2018 წლის 20 ოქტომბერს მოპასუხეს, -- -- ჩაბარდა 2018 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი პირადად.

2018 წლის 25 ოქტომბერს მოპასუხის წარმომადგენელმა, -- -- საჩივრით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, 2018 წლის 12 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

2018 წლის 5 ნოემბრის განჩინებით მოსამართლე -- -- მიიღო საჩივარი განსახილველად და საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნა 2018 წლის 6 დეკემბერს. 2018 წლის 9 ნოემბერს მოსამართლის თანაშემწე ტელეფონით ესაუბრა მოპასუხის წარმომადგენელს, -- -- და აუწყა მას საჩივრის განსახილველად მიღებისა და საქმეზე სასამართლო სხდომის თარიღის ჩანიშვნის თაობაზე. 2018 წლის 26 ნოემბერს მოსამართლის თანაშემწე კიდევ ერთხელ დაუკავშირდა -- -- და აცნობა მას, რომ საქმეზე მთავარი სხდომა გადაიდო 2018 წლის 14 დეკემბერს.

2018 წლის 14 დეკემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2019 წლის 3 იანვარს -- -- განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინების მისთვის ჩაბარება. 2019 წლის 10 იანვარს საჩივრის ავტორმა კიდევ ერთი განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს და ისევ მოითხოვა 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინების მისთვის გადაცემა. -- -- განჩინება გაეგზავნა 2019 წლის 15 იანვარს და ჩაბარდა 2019 წლის 22 იანვარს.

2019 წლის 16 იანვარს -- -- წარმომადგენელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება -- უზენაეს სასამართლოში. -- უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 10 მაისის №83 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესით, პოლიტიკური და სოციალური ზეგავლენით.

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. კერძოდ, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესით, ასევე, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებებით ან/და სოციალური ზეგავლენით, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე,... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. ამასთან, ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; ობიექტური ტესტით უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* §28 და §30; *Wettstein v. Switzerland,* §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, §32). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის არსებობას, რათა თითოეულ მხარეს ეძლეოდეს გონივრული შესაძლებლობა, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ პირობებში, რომლებიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად წამგებიან მდგომარეობაში არ ჩააყენებენ (SCHULER-ZGRAGGEN v. SWITZERLAND, §50-52).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის ეჭვს იმის თაობაზე, რომ მოსამართლეს არ ჰქონდა ხელი მოწერილი სასამართლო განჩინების სარეზოლუციო ნაწილზე მისი გამოცხადებისას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არც საქმის მასალებში მოიპოვება და არც მხარის მიერ იყო წარმოდგენილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მოსამართლე სხდომაზე აცხადებს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს, მისი გამოცხადების შემდგომ უკვე მას აქვს დასაბუთებული განჩინების მომზადების ვალდებულება. ამდენად, მოსამართლე ვალდებული არ იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისთანავე მხარისათვის ჩაებარებინა დასაბუთებული განჩინება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №83/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი